საქართ. შემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახანის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. წინ ნაწილი
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 431 ოთხშაბათი, მარტის 28 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული მშობლები: დედა დესპინე, მამა მიხეილ, ძმა შალვა, რძალი ვენერა, დები: ტიტიკო, ბაბუცა, კატუშა, ვერა, ბიძაშვილი ლადო კიკნაძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ შაბათს 24 მარტს ღამით ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის შვილი, მეორესი ძმა და მაზლი, დანარჩენების ძმა, სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტის ჳ კურსის სტუდენტი.

**ნაუმ მიხეილის ძე კიკნაძე**

რომლის პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს 5 საათზე მიხაილოვის საავადმყოფოში. რის შემდეგაც ცხედარი გადასვენებულ იქნება რკინის გზის სადგურზე სოფელ დიმში წასასვენებლად.

## ხვნა-თესვის კამპანიისათვის

ხვნა თესვის დრო მოახლოვდა. ჩვენი მშრომელი გლეხი შეუდგება მუშაობას და ამით წმინდა მოვალეობას შესრულებას როგორც საკუთარი ოჯახის, აგრეთვე მშრომელთა სახელმწიფოს წინაშე.

ჩვენი ქვეყანა სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. საქართველოს განსაკუთრებულ პირობებმა არ იცის მძიმე ინდუსტრიის სუსხები. ამიტომ ჩვენი ქვეყნისთვის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს უმთავრესად სოფლის მეურნეობის განვითარების შესაფერ დონეზე დაყენებას.

სასოფლო-მეურნეობის მრავალი სახეებია საზოგადოდ ცნობილი. მათში მთავარი ადგილი, ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, პურისა და სიმინდის მოყვანის საქმეს უჭირავს. კულტურული მცენარეების მოვლა-გაშენებას ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცევა. ეს გეოგრაფიულ თავისებურობით აიხსნება. უმთავრესი და ძირითადი სასოფლო-მეურნეობის საკითხია ხორბლეულობის მოსავალი პურისა და სიმინდის კულტურის განვით.-ალორძინება.

მთელი ყურადღება სწორედ აქეთკენ უნდა იქნას მიმართული. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს მართებს დიდის სერიოზულობით და წინდახედულობით მოეპყრას საერთოდ სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხს და კერძოთ ხვნა თესვის კამპანიას.

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობამ ამ მხრით უკვე სათანადო ნაბიჯები გადასდგა. გადაწყვეტილია საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით შეიქმნას მუდმივი სათესი ფონდი. ფონდის საფუძველია 407.000 ფუთი სათესი. ეგ სათესი მასალა შესაფერისად დაწმენდილი და „დეზინფექციაში“ გატარებული იქნება. ასე რომ ეგ თესლი თავისი ხარისხით და ღირსებით გაცილებით მაღლა იდგომება იმ სათეს მასალაზე, რომელსაც პრიმიტიულის სახით ხმარობს ჩვენი გლეხობა.

გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს სამიწადმოქმედო იარაღების გაუმჯობესებას. მამა-პაპური გუთნით და ფარცხით შეუძლებელია საგულისხმო შედეგების მიღება, მოსავლის გადიდება შესაძლებლობის დონემდე. ჩვენ ცივილიზაციის და კულტურის ხანაში ვცხოვრობთ. მცირე შრომის დახარჯვით დიდი ნაყოფი უნდა მივიღოთ. გლეხ-კაცობა უნდ შევაჩვიოთ გაუმჯობესებულ მანქანებით მიწის დამუშავებას. ამ მხრივადაც, როგორც ვიცით, მთავრობას საგულისხმო ნაბიჯები აქვს გადადგმული, საჭიროა უფრო შორს წასვლა. საჭიროა შეჭრა სოფლის სიღრმეში. ყველა სამიწათმოქმედო რაიონებში უნდა მოეწყოს სანიმუშო საცდელი მეურნეობა და სათეს მინდორ-ველში მოიხნას და დაითესოს გაუმჯობესებულ თანამედროვე სამეურნეო იარაღებით. გლეხის ბუნება ადვილად ვერ გასცილდება მუშაობის ძველებურ წესებს. საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მართებს მაგალითის ჩვენება, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ამით იოლად შეიძლება მშრომელი გლეხების წახალისება და მის მუშაობის მსვლელობის ახალ ლიანდაგზე დაყენება.

აღსანიშნავია ერთი სამწუხარო მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში. მიწის სივიწროვის თავიდან აცილების მიზნით გლეხები ანადგურებენ ვენახებს, კულტურულ ხე-მცენარეებს და სხ. ამ სავალალო ფაქტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. გლეხობას უნდა აეხსნას ასეთი საქციელის მიზანშეუწონლობა. მიწის სივიწროვის მოსპობა შეიძლება არა ბაღოსნობა-მევენახეობაზე ხელის აღებით, არამედ სულ სხვა გზით, სახელდობრ—მუშა ხალხის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზედ გადასახლებით.

გასულმა წელმა ჩვენ პურისა და სიმინდის დიდი მოსავალი მოგვცა. ეს არ აიხსნება მარტო ბუნების მოწყალეობით, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მუშაობის თავის დროზე დაწყებას, და მუშაობის წესიერად წარმოებას, აგრარულ რეფორმას, გლეხ-კაცობის მხრით შრომის დაუზოგველობას.

მიმდინარე წელს უფრო მეტის ყურადღებით უნდა მოვექცეთ ხვნა-თესვის კამპანიას და სასურველად დავაგვირგვინოთ იგი, დიდია მთავრობის ცდა და სურვილი ამ ნიადაგზე. საჭიროა მშრომელი მასის ამოქმედება. მომავალში სიმშილის აჩრდილი უსათუოდ იქნება თავიდან აშორებული.

## ერთა თანასწორობისაკენ.

ერთად ერთი მთავარი არგუმენტი, რომელიც მომარჯვებულია მემარჯვენე წრეების ხელში და მამართულია საბჭოთა თანწყობის წინააღმდეგ, არის ეროვნული საკითხი. მენშევიკური პარტია 25 წლის განმავლობაში ებრძოდა ხალხთა, ნაციათა თავისუფლების იდეას. ეროვნული თავისუფლება მენშევიკებს რეაქციურ მოძღვრებად მიაჩნდათ. ანტიცენტრალისტური ნაბიჯები, მათის გაგებით, იყო რეაქცია პოლიტიკური და რეაქცია ეკონომიური. ნოე ჟორდანიამ თავისი სამწერლო მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი ფედერალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. ავტონომია კაციჭამიობაა, ერთა შორის სისხლის ღვრის, მუდმივი ქიშპობის და ბრძოლების გაჩაღებაა-ეუბნებოდა იგი საქართველოს მშრომელ ხალხს.

ისტორიულ ვითარებამ გამოააშკარავა სოციალ-დემოკრატიის ყალბი პოზიცია, მიუღებელი შეხედულებანი ეროვნულ პრობლემაზე. ეროვნულ ნიჰილისტი ჟორდანია უკიდურესობის მორევში გადაიტყორცნა და ბურჟუაზიულ, ანტიპროლეტარულ რეპარაციის გზას დაადგა. რევოლიუციის ლოღიკა საბედისწერო შეიქნა მენშევიკურ დამყაყებულ აზროვნებისათვის.

ამ ჟამად საკვირველ მოვლენასთან გვაქვს საქმე რევოლიუციის და ქართველი ხალხის დეზერტირები ანტანტის ბურჟუაზიის დერეფნებში საქართველოს ეროვნულ სეპარაციაზე, გაჰკივიან ეროვნულ თავისუფლების ისტორიული და დაუძინებელი მტრები დღეს ამავე იდეის მღაღადებელ მოციქულების როლში გამოდიან. საქართველოს მშრომელთა კლასმა კარგად უწყის მენშევიკების ფარისეველი გამოსვლები. ისტორიულად, მენშევიკები პროფესიონალი დემაგოგები არიან. თავიანთ სასახელო ფანდებით ისინი დღესაც გამოდიან მშრომელ მასის წინაშე.

ჩვენ არც წარსულში გვწამდა მენშევიკების გულწრფელობა საქართველოს საკითხში, ე. ი. მაშინაც, როდესაც საქართველოს სვე-ბედს მენშევიკები განაგებდნენ. შექმნილ პირობებმა აიძულა ს. დ. პარტია აღიარებინა „დამოუკიდებლობა“. ეს იყო ბოლშევიზმის ძლევამოსილობის, კომპარტიის რუსეთში გამოსვლების უშუალო შედეგი. მენშევიკების ცნობილი პუბლიცისტები საჯაროდ აცხადებდნენ: სუბიექტიური მიზეზები გვიშლიან ხელს, თორემ ჩვენ მზადა ვართ დამოუკიდებლობიდან დამოკიდებულებაზე გადავიდეთო. ასე ამბობდნენ დევდარიანები „ერთობის“ ფურცლებზე. ტყვილად ჰგონიათ მენშევიკებს, რომ ყოველივე ეს საბოლოოდ გაქრა ქართველი მუშის ცნობიერებიდან.

ჩვენს პარტიას უხდებოდა ბრძოლა არა მარტო მემარჯვენე „სოციალისტებთან“, არამედ პარალელურად—უკიდურეს მემარცხენეებთანაც კი მდგომარეობის თანამედროვე სახე, ფაქტები, რომლებიც უხვად გვევლინება პოლიტიკურ ცხოვრების ვითარებაში, ჩვენ გვაძლევს უფლებას ვსთქვათ, რომ სოციალისტური რევოლიუციის ერთი პრობლემა, ეროვნული საკითხი, სწორ და საიმედო სიბრტყეზეა დასმული.

ჩვენი გაზეთის ფურცელზე გვქონდა გაზ. „მუშიდან“ ამხ. კამენევის სიტყვა გადმობეჭდილი, რომელიც წარმოსთქვა მან. კომპარტიის მეორე ყრილობაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ კამენევის აზრი არაა პერსონალური. იგი გამოხატავს რუსეთის ხელმძღვანელ წრეების და კომპარტიის ცეკას შეხედულებებს.

როგორ უნდა წყდებოდეს ეროვნული პრობლემა სოციალისტური თვალსაზრისით? პატარა ერისათვის მიუღებელია, როგორც სეპარატიზმი, ისე ცენტრალიზმი, მუშათა კლასი იბრძვის როგორც პირველის, ისე მეორის წინააღმდეგ. მშრომელთა თვალსაზრისით ეროვნული თავისუფლების იდეის გამმანაღდებელი მესამე—სინთეტიური მიმართულება პოლიტიკურ იდეოლოგიაში. ფედერალიზმი შეიცავს სოციალისტური გეგმების რეალიზაციას ერთა ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში.

რუსეთის რევოლიუციამ იმ თავითვე წამოაყენა რუსეთის იმპერიის ფედერატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის საჭიროება. 1918 წელს, რუსეთის დამფ. კრებაზე თვით მენშევიკებმა მისცეს ხმა ფედერაციას...

უთანხმოება ფედერალიზმის მიღება-არ მიღებაში კი არ იყო, არამედ მის არსებით ბუნების გაგებაში. სწორედ ამ პუნქტში გვიხდებოდა ჩვენ მოპირდაპირე თუ მოწინააღმდეგე ჯგუფებთან შებრძოლება.

ფედერაციის მთავარი მომენტების გაგებას რუსეთის კომპარტიამ შეეცადა. ფედერაციის პრაქტიკული საჭიროება კომპარტიისაგან მოითხოვდა ფედერალიზმის შინაპუნების გათვალისწინებას. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებმა და რუსეთის მშრომელმა ხალხმა ქრავალი ნაბიჯი გადასდგა ფედერალიზმისაკენ.

არსებითად ფედერალიზმის შინაწყობა, მთავარი მიზანი მაინც გაუგებრად რჩებოდა, თეორიული გაურკვევლობა პრაქტიკულ გაურკვევლობას იწვევდა. ამიტომ ჩვენს პოლიტიკურ აღმშენებლობაში იყო ისეთი მომენტები, როდესაც ფედერალისტური გეზი ცენტრალიზმისაკენ იხრებოდა.

საბედნიეროდ, გაუგებრობის ბურუსი უკვე იფანტება რ. კ. პ. აპირებს ცალკე რესპუბლიკების ეროვნულ განვითარების საქმის სწორ გზაზე დაყენებას.

რას ვამბობდით ჩვენ, რას ჰგულისხმობს სოციალისტური ფედერალიზმი?

ფედერაცია მარტო ერების კავშირი როდია. ფედერალიზმი ერთა სწორუფლებიანობის, ეგალიტარიზმის განსახიერებაა. სადაც არ არის დაცული ეს პრინციპი, იქ პროლეტარულ ფედერალიზმზე ზედმეტია ლაპარაკი.

რუსეთის საბჭოების მეთერთმეტე ყრილობაზე დაისვა საკითხი ფედერაციის შესახებ. ყრილობამ საჭიროდ სცნო დამოუკიდებელ რესპუბლიკების ფედერატიულ რკალში მოქცევა. მაგრამ ფედერაციის არსებითი მხარე მაინც გადაუჭრელი დარჩა, ველიკორუსეთს თითქმის იმდენი უფლება მიენიჭა, რამდენიც დანარჩენ განაპირა ერებს ერთად აღებულს. ასეთი შეცდომა აუცილებელი იყო მას შემდეგ, რაც შემცდარ ნიადაგზე დაიწყო ფედერატიულ სახელმწიფოს უზარმაზარ კედლების შენება. მხედველობაში მიღებული იყო ტერიტორიული და რიცხობრივი საზომი, და არა ეროვნული ინდივიდუალობა. ამ შემცდარ ნაბიჯმა გამოიწვია „ველიკოდერჟავნიკული“ საშიშროება“.

საბჭოების მეთორმეტე ყრილობა რევიზიას გაუკეთებს თავის მოქმედებებს. სოციალისტურ ფედერალიზმის და მცირე ერების თავისუფლების საკითხი, „ეროვნული მომენტი“ მის დღის წეს-რიგში განსაკუთრებულ საკითხადაა დასმული.

„გაერთიანებულ რესპუბლიკებსა და ცალკე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შორის უნდა არსებობდეს განსაზღვრული ურთიერთობა—ამბობს ამხ. კამენევი. ჩვენთვის ეს **დამოუკიდებლობა არ არის ცარიელი სიტყვა. ეს ცნება ჩვენ არ მიგვიღია გარეშე ძალების გავლენით.** არც ჩვენ პირად მიზნების გულისთვის გვაქვს მიღებული. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ეს კავშირი აუცილებელია და რომ დამოუკიდებელი ეკონომიური წრეები **არსებობენ და მომავალშიაც იარსებებენ** მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებით“. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო ეროვნული ჩაგვრის საფუძვლები. „ჩვენ ვაცხადებთ—განაგრძობს ამხ. კამენევი,—**საბჭოთა ხელისუფლების დროს ყველა თანასწორია**“. და შემდეგ: „როცა გავეცანით აღმასკომის შემადგენლობას, დავინახეთ, რომ იქ საბჭოთა ფედერატიულ რუსეთის რესპუბლიკას ჰყავდა გაცილებით მეტი წარმომადგენლები, ვიდრე იყო კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკების“. აშკარაა, ასეთი უთანასწორობა და ძლიერი ერის პრიორიტეტის დაკანონება უკმაყოფილებას გამოიწვევდა პატარა ერების მასსებში. „ამიტომ,—ასკვნის ამხ. კამენევი,—დაიბადა აზრი ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის **მაგივრად** დაწესებულ იქნეს ისეთი ყრილობა, რომელშიაც შევლენ საბჭოთა რესპუბლიკები **არა მცხოვრებთა რაოდენობით**, არამედ თვით რესპუბლიკების **ეროვნულ ნიშნების მიხედვით.** ასე რომ ყოველ რესპუბლიკას ყრილობაში ეყოლება **თანასწორი წარმომადგენლობა**“. (კურსივი ჩვენია გ. მ.)

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ამხ. კამენევის მოხსენებაში მრავალი ოპტიმისტური ხაზები მოსჩანს.

ჩვენ ვამბობდით: ჩაგვრა-მონობის და უპირველესად—ეროვნული მონობის მოსპობა საბჭოთა სისტემაშია შესაძლებლები არ სწამდათ ასეთი ზრდის სისწორე. მაგრამ, ცხადია, რომ ჩვენი პარტიის გეზის სისწორე თანდათან საყოველთაოდ ცნობილი ხდება.

მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ სიტყვების, გეგმების სფეროში ვიმყოფებით. საჭიროა ბრძოლა დაპირებათა რეალიზაციისათვის. მშრომელთა კლასის დიქტატურის ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანი ისიცაა, რომ მშრომელთა ნების სისრულეში მოყვანა აქტიურ პოლიტიკის ქვეშ სწარმოებს, ამიტომ სოციალისტური ფედერალიზმის თეორიის მიხედვით რუსეთის საბჭოთა ფედერაციის შენების საქმე საიმედო საძირკვლებზეა დაყრდნობილი.

ჩვენთვის კი ერთი რამ აშკარაა და სავსებით გარკვეული: მშრომელი ხალხი უკვე თავისუფლდება უსუსურ დემაგოგების გავლენისაგან და **საბჭოთა სისტემის მოწინააღმდეგეთა ხელში არ რჩება არც ერთი მასალა,** რომლითაც შესაძლებელია სერიოზული პოლიტიკური ბრძოლის წარმოება....

**გ. მუშიშვილი.**

## რადიო დეპეშები

### რურის ოლქის ოკუპაცია

**შვეიცარიის მუშების დახმარება.**

**მოსკოვი, 27** მარტი. შვეიცარიის პროფკავშირთა გაერთიანებამ გამოსცა მოწოდება რურის მუშების ბავშვთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და გამოსთქვა აზრი აიყვანონ თავის ხარჯზე.

**ჩიხში.**

**მოსკოვი, 27** მარტი. ინგლისის გაზეთი „ტაიმსის“ აზრის არ შეიძლება ვიმედოვნოთ, რომ რურის საკითხი გადაიჭრება მშვიდობიანის გზით. საფრანგეთის მთავრობამ, როგორც სჩანს, გადასწყვიტა განაგრძოს იძულებითი პოლიტიკა გერმანიის მიმართ. მეორე მხრივ გერმანიის მთავრობა განაგრძობს ოკუპანტებისადმი წინააღმდეგობის გაწევას საკითხის მოგვარება, გაზეთის აზრით, შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ გერმანია სისწორით აღნიშნავდა რის მიცემა შეუძლია მას ამ ჟამათ და საფრანგეთი თავის მხრით დაადასტურებდა, რომ ის მზათ არის მიიღოს.

**ხმები მოლაპარაკების შესახებ.**

**მოსკოვი, 27** მარტი. საფრანგეთის პოლიტიკური წრეები დარწმუნებული არიან, რომ გერმანიის მთავრობა მზათ არის დაუყონებლივ დაიწყოს მოლაპარაკება მოკავშირეებთან. გაზეთ „ტანის“ ცნობით ბრიტანეთის ელჩმა ბერლინში წარადგინა ლონდონში გერმანიის წინადადებათა შემდეგი პროექტი: გერმანია ვალდებულია გაატაროს შინაგანი სესხი. გერმანიას ეძლევა აგრეთვე საერთაშორისო სესხი, რომელსაც გარანტიათ უნდა დაედოს საბაჟოებისა და რკინის გზების შემოსავალი და მრეწველობის მოგების ნაწილი.

**საოკუპაციო ჯარის გადიდება.**

**მოსკოვი.** 27 მარტი. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობამ საჭიროთ სცნო გაადიდოს საფრანგეთის ჯარების რიცხვი რურში 20.000 ჯარის კაცით.

**დახვრეტა და გადასახლება**

**ბერლინი, 27** მარტი. ესსენის მიდამოებში ფრანგებმა დახვრიტეს სამთამადნო მუშა ბრასტი-27 წლისა. ვისბადენიდან იტყობინებიან ახალ გადასახლებათა და დაპატიმრებათა შესახებ.

**აკრძალულ გაზეთების კითხვისათვის.**

**ბერლინი, 27** მარტი. დორტმუნდიდან იტყობინებიან კასტრონქაში ერთ ადგილობრივ მოხელეს 6 თვის ციხე და 1 მილ. მარკა ჯარიმა მიუსაჯეს აკრძალულ გაზეთების კითხვისათვის

**არასასურველი მდგომარეობა**

**ბერლინი.** 27 მარტი. გაზ. „პტი პარიზენი“ იტყობინება, რომ პუანკარეს დეპუტაციის პალატაში გამოსვლა განცხადებით რურის ოკუპაციის შესახებ აღდგომის კანიკულებამდე მოხდება, ამის გამო „ეხო ნაციონალი“ სწერს: ცხადია პალატა არ იქნება დათხოვნილი დღესასწაულებზე პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ მოულაპარაკებლათ, ვინაიდან ეს მდგომარეობა საყოველთაოდ არახელსაყრელათ ითვლება.

## გერმანია და ანტანტა.

**სტინესი რომშია „პირადი საქმეების გამო“.**

**რომი** 27 მარტი. თავის პირადი მდივნის თანხლებით რომში ჩავიდა სტინესი. მას სურს დაფაროს რომში ყოფნა ამასთანავე გერმანიის საელჩოუარს ამბობს გასცეს რაიმე ცნობები სტინესის ჩასვლის მიზნების შესახებ და ყოველგვარ შეკითხვებზე უპასუხებს, რომ სტინესი თავის პირად საქმეებზეა ჩამოსული. მაგრამ დიპლომატიურ წრეებში სტინესის ჩასვლას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

**„მეფეები“ თათბირობენ.**

გუშინ სტინესს ქონდა ხანგრძლივი საუბარი ამერიკის „ფოლადის მეფესთან“ გარიკესთან, ხოლო დღეს დილით ის ინახულებს ამერიკის დელეგატს სავაჭრო პალატების კონფერენციაზე კენტთან, რომელიც არის საკონტრიბუციო საკითხის მოწესრიგების პროექტის ავტორი. საღამოზე სტინესი გაემგზავრება მილანში, სადაც გუშინ მუსოლინი წავიდა. მილანში მიემგზავრება აგრეთვე ამერიკის მთელი დელეგაცია. მიღებული ცნობების თანახმად მილანში მიემგზავრება ბრიუსელიდან ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრი ჟასპარი.

**„მზადდება მნიშვნელოვანი ამბები“.**

საკმარისია ერთმანერთს დაუპირიდაპიროთ ეს სახელები და მოგზაურობანი და მოვიგონოთ სავაჭრო პალატათა კონფერენციაზე ამერიკის დელეგაციის პოზიცია, რომ გადაჭრით შეგვიძლიან ვიწინასარმეტყველოთ მნიშვნელოვანი ამბების მზადება. რადგან საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტის გადადება შეუძლებელია ისარგებლეს რა სავაჭრო კონგრესით გადასწყვიტეს აირჩიონ იტალია ადგილად, სადაც მოხდება აზრთა გაზიარება საკონტრიბუციო საკითხით დაინტერესებულ მხარეების შორის.

**სტინესი ურჩევს ამერიკელებს.**

ამერიკის დელეგაციის წევრთან ბუ'სთან, ბერნსთან და კენტთან შეხვედრის დროს სტინესი ურჩევდა მათ ჩაერიონ რურის კონფლიქტში. თათბირის შედეგებს საიდუმლოთ ინახავენ როგორც ამერიკის დელეგაციის წევრები, ისე გერმანიის საელჩო. ამბობენ რომ შესაძლებელია ამერიკის ფინანსისტები თავის თავზე მიიღებენ გერმანიის ვალებს. კენტის განცხადებით ამერიკის საქმიანი წრეები საკონტრიბუციო საკითხს ამგვარად გადაწყვეტილს საუკეთესოთ სთვლიან.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა კლემენმა გამოსთქვა სრული კმაყოფილება „საკონტრიბუციო საკითხზე ამერიკის დელეგაციის შეხედულების გამო“. მთავრობა თავდაჭერილად და სიფრთხილით ეპყრობა სტინესს.

**სტინესი თათბირობს მინისტრებთან**

**პარიზი.** 27 მარტი. რომის გაზ. „ტრიბუნას“ ცნობით სტინესს ხანგრძლივი საუბარი ქონია იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგთან ფინჩისთან, რომელსაც აცნობა ამერიკელებთან თავის საუბრის შესახებ. ამის შემდეგ ფინჩი ტელეფონით ელაპარაკა მუსოლინს. მან „ჟორნალ დ'იტალიას“ ცნობით, სტინესი ეთათბირა აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს კონტარინის მთელი თათბირი შეეხებოდა საკონტრიბუციო საკითხს.

**სტინესის გამგზავრება**

**რომი.** 27 მარტი. დღეს ღამით სტინესი მიემგზავრება რომიდან გერმანიაში.

**სტინესის დიპლომატიის შედეგი**

**რომი.** 27 მარტი დიპლომატიური წრეები იტყობინებიან, რომ სტინესის და ამერიკელ ფინანსისტებს შორის გამართულ თათბირზე განხილულ იქნა საკონტრიბუციო საკითხი, ამასთანავე გადაწყდა მიღებულ იქნას ამერიკელების წინადადება ამერიკელ ფინანსისტებისაგან ბუსის თავმჯდომარეობით კომისიის შედგენის შესახებ, ეს კომისია გაემგზავრება გერმანიაში ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობათ და გარანტიის უნარიანობის გამოსარკვევათ. შესაძლოა, რომ ამერიკის ფინანსისტების და მრეწველობის მიერ გერმანიის ეკონომიურ და საერთაშორისო მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ—დადებული იქნება ახალი ხელშეკრულება.

## უცხოეთი

**საფრანგეთის პარლამენტში,**

**მოსკოვი.** 27 მარტი. საფრანგეთის პარლამენტში აპრილის და მაისის ბიუჯეტის განხილვის დროს, კომუნისტმა-დეპუტატმა ბერტონმა უწოდა პუანკარეს ნაციონალური ბლოკის მეთაურის ლეონ დოდეს ტყვე. ამაზე საპასუხოდ პუანკარემ ბერტონს მიმართა დამამცირებელი სიტყვებით. პუანკარეს უდიერ გამოსვლას მოჰყვა აღშფოთების ხმები მემარცხენეების სკამებიდან. დეპუტატების მოთხოვნილება, რათა მოეწოდებიათ პუანკარე წესიერებისაკენ, პარლამენტის პრეზიდენტის მიერ უყურადღებოთ იქნა დატოვებული. მომქმედ ჯარში 1921 წელს გაწვეულების დატოვების საკითხის განხილვის დროს, კომუნისტმა რაინ კუტიურემ განაცხადა, რომ ამ ზომის გატარება დაუჯდება საფრანგეთის ხალხს 28 მილ. ფრანკი. სამხედრო მინისტრმა უპასუხა, რომ მთავრობა იძულებულია დატოვოს სამსახურში 1921 წელს გაწვეული იმის გამო, რომ აუცილებელია რურში საოკუპაციო ჯარების გაძლიერება 20,000 კაცით. მთავრობის ღონისძიება მოწონებული იქნა პალატის უმრავლესობის მიერ, კომუნისტების ხმის წინააღმდეგ.

**„ჰუმანიტე“ ფრანკფურტის კონფერენციის შესახებ.**

**მოსკოვი.** 27 მარტი. კომუნისტური გაზეთი „ჰუმანიტე“, ადარებს რა ფრანკფურტის კონფერენციის გადაწყვეტილებებს მოკავშირების სოციალისტების წარმომადგენელთა კონფერენციაზე მიღებულ დადგენილებებს სწერს: „თვით ფრანკფურტის კონფერენციის მოწვევა წარმოადგენდა ისტორიულ მოვლენას. მუშათა ინტერნაციონალს არასოდეს ასე გაბედულად არ გამოუთქვამს თავისი ამოცანები. ინტერნაციონალიზმი ხდება მატერიალურ ძალად, რომელზედაც დაიმსხვრევა იმპერიალიზმის ბოროტი განზრახვები. სოციალისტურმა კონფერენციამ, პირიქით კვლავ დაამტკიცა თავისი უილაჯობა და რეფორმისტების გამცემლობა.

**მუშების წინააღმდეგობა ძლიერდება.**

**მოსკოვი.** 27 მარტი. ვინაიდან იტყობინებიან, რომ გრძელდება პასიური წინააღმდეგობა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მუშებს შორის, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას. საფოსტო-სატელეგრაფო დამოკიდებულების სფეროში ძლიერდება დაბრკოლებები.

**მუშები ფხიზლად არიან.**

**მოსკოვი.** 27 მარტი. ვინაიდან იტყობინებიან, რომ განახლდა მოლაპარაკება მეტალურგიული წარმოებების მეპატრონეებს და მუშებ შორის ლოკაუტის ქვეშ მყოფ მუშების განწყობილება მტკიცეა და გამოფხიზლებული იმ ფართო დახმარების გამო, რომელსაც ისინი ღებულობენ მუშათა ორგანიზაციებიდან როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთიდან.

**მიიწევს ნახშირისკენ.**

**მოსკოვი.** 27 მარტი. იტყობინებიან, რომ პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სკრჟინსკიმ ნახშირის საერთაშორისო სინდიკატთან დასდო ხელშეკრულება ზემო-სილეზიის ფართო სანახშირო რაიონის ექსპლოატაციაზე, რომელიც წლიურად იძლევა 1 მილ. ტონს ნახშირს.

**ნაციონალისტების დაპატიმრება.**

**მოსკოვი.** 27 მარტი. გერმანიაში გრძელდება ტევტონების თავისუფლების პარტიის წევრთა დაპატიმრება. გერმანიის ნაციონალისტურმა პარტიამ რეიხსტაგში და პრუსიის ლანდტაგში შეიტანა შეკითხვა ტევტონების პარტიის [illegible] შესახებ და უწოდებს ამ მოვლენას „[illegible]ვას“, მემარჯვენე [illegible] კომუნისტების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კომუნისტურ გაზეთის „როტე ფანეს“ წინააღმდეგ. მემარჯვენე პრესა, მათ რიცხვში სტინესის ორგანოც ავრცელებს რა ყალბ ცნობებს კომუნისტების მოსალოდნელ სერიოზულ გამოსვლების შესახებ ცდილობს დაუფაროს საზოგადოებას მემარჯვენეთა მოქმედება.

**ზევერინგის განკარგულება.**

**მოსკოვი.** 27 მარტი. 25 მარტს ზევერინგის განკარგულების თანახმად პრუსიის პოლიცია ღებულობს ზომებს გერმანიის ნაციონალისტების მოსალოდნელ გამოსვლების წინააღმდეგ.

**თხოულობენ განმარტოს.**

**მოსკოვი.** 27 მარტი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ინიციატივით შესდგება რეიხსტაგის საგარეო საქმეთა პარლამენტარული კომისიის სხდომა. ამ კომისიაში სოციალ-დემოკრატებს განზრახული აქვთ აიძულონ კანცლერი კუნო ნათლათ განმარტოს თავისი აზრი საფრანგეთთან მოლაპარაკების საკითხის შესახებ.

**აღმშენებლობის დარგის მუშათა გაფიცვა.**

**მოსკოვი.** 27 მარტი. კელნის 10.000 აღმშენებლობის დარგის მუშამ გამოაცხადა გაფიცვა შრომის ხელფასის მომატების მიზნით. პროფკავშირის ყვითელ ლიდერებმა არ დაუჭირეს მხარი გაფიცვას და ხსნიან ამას მთლიან ნაციონალურ ფრონტის შენახვის აუცილებლობით.

## რუსეთი.

**რუსეთი მოითხოვს თავის გემებს.**

**მოსკოვი.** 27 მარტი. პუანკარე ნოტაში რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო საქმ თა სახალხო კომისარისადმი იტყობინება, რომ ვრანგელის მიერ ბიზერგში (ჩრდ. აფრიკა) გატაცებულ რუსეთის გემებს საფრანგეთის მთავრობა სთვლის როგორც რუსეთის სახელმწიფოს კუთვნილებას და გადასცემს ფორმალურად—ცნობილ მთავრობას. საფრანგეთის მიერ ზოგიერთ დამხმარე გემების გაყიდვას მიზნათ აქვს დაფაროს ხსენებულ გემების შეკეთების და დაცვის ხარჯები. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ლიტვინოვი საპასუხო ნოტაში აღნიშნავს, რომ ესკადრის რუსეთის კუთვნილებათ ცნობის ფაქტიდან უნდა გამომდინარეობდეს მისი რუსეთის მთავრობისათვის გადაეცემა. რუსეთის ხალხს არ შეუძლია მიიღოს თავის თავზე საფრანგეთის ყოფაქცევით გამოწვეული ხარჯები და დაჟინებით მოითხოვს დაუბრუნდეს გემები რუსეთს იმ სახით, როგორითაც ისინი გავიდა რუსეთის ნავთსადგურებიდან.

## ახლო აღმოსავლეთი.

**გლეხების საჩუქარი.**

**მოსკოვი,** 27 მარტი. ანგორიდან იტყობინებიან, რომ ადანის გლეხებმა უძღვნეს ქემალ ფაშას ოქროს სახნისი.

**ოსმალეთის კონტრ-წინადადებების განხილვა.**

**მოსკოვი,** 27 მარტი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა ექსპერტებმა 25 მარტს დაასრულეს ოსმალეთის კონტრ-წინადადებების განხილვა.

**კომუნისტების გასამართლება.**

**მოსკოვი.** 27 მარტი. ანგორიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის კომუნისტურ პარტიის წევრთა გასამართლება გრძელდება. ბრალდებულთა შორის არის ტოკადის ყოფილი დეპუტატი ნაზიმბეი.

**ნაციონალისტურ პრესის დევნა**

**მოსკოვი,** 27 მარტი. მესინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ეგვიპტეში სამხედრო ხელისუფლების მიერ დახურულა ორი ნაციონალისტური გაზეთი. გაზეთის გამომცემლები და თანამშრომლები დაპატიმრებულია.

## აკაკი

**(აკაკის ძეგლის დადგმის გამო)**

აკაკის ქნარის შინაარსისა და ღირსების შესახებ ჩემი შეხედულება გამოთქმული მაქვს ორ სტატიაში: ერთი მოთავსებული იყო ჟურნალ „ფასკუნჯ“-ში 1908 წ. დეკემბრის შვიდს № 5, ხოლო მეორე—აკაკის „საიუბილეო კრებულ“-ში 1908 წ.

ამ ხანათ მსურს შევეხო აკაკის ქნარის განსაკუთრებულ თვისებას, რომელიც იმ სტატიებში არ არის აღნიშნული და რომლის აღნიშვნა არ შეიძლებოდა მაშინდელი პირობების გამო.

აკაკი სოციალისტი არ იყო და არც სოციალისტობდა. სწორეთ ამიტომ თავდაპირველათ მას ინტელიგენციის წრეებში პატივი და ღირსება არ ქონდა მოხვეჭილი. მაშინდელი ინტელიგენცია განიცდიდა სრულ გავლენას ნიჭიერისა და გაალმასებული გულისთქმის პუბლიცისტისა პისარევისას. ამიტომ პოეტსა და მგოსანს აფასებდა იგი ინტელიგენცია მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ეს მგოსანი კარგსა და პროგრესიულ აზრებს ავრცელებდა თვისი კალმის ნაწარმოებით. ამიტომ იმ ხანათ აკაკის სახელი მიჩქმალული იყო და პატივ-აყრილიც იმის „ტკბილ-ზევსური“ ჰანგები მოსაწონი აღარ იყო. მას ინტელიგენციის მიერ მხოლოდ მეფანდურის სახელი ქონდა მითვისებული. თვით აკაკი გვიდასტურებს, რომ მაშინ სუბუქი ლექსი და „ტკბილ ზევსური“, რომელიც ზედ მიწევნით ახასიათებს აკაკის ქნარს და რომელიც ამ ქნარის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს, მისაღები აღარ შეიქნა მაშინდელი ინტელიგენციის მიერ. აკაკი მორცხვი წყენით ამბობს, რომ ამათ

„რათ იამებათ, აბა მითხარით,
„ლექსი ტკბილი და ტკილი ჩანგური!
„და ვის რათ უნდა ტკბილი მგოსნობა?“

მაგრამ ამის მიუხედავათ, აკაკის მგრძნობიარე ქნარი მაშინც და შემდეგაც აღზნებული იყო და ძლიერათაც ატოკებდა გულს ყველა იმისას, ვინც კი მას წინათ-განზრახული აზრით არ მიუდგებოდა ასეთი კი იყო ახალ-გაზრდობა და თვით ხალხის უმრავლესობა. ეს გარემოება გამოეპარა ინტელიგენციას და ამას გულის ყური არათხოვა გვიანობამდე. სწორეთ ეს მგრძნობიარე და ტკბილი ქნარი იყო მიზეზი, რომ აკაკის მახვილი, მჭრელი, მაგრამ ამავე დროს სუბუქი ჰანგი უკანასკნელ წუთამდე არც დამცხრალა, არც მოდუნებულა. იგი ქნარი მარადის გასალკლდევებული და გაალმასებული იყო და ყიჟინას სცემდა, რომელიც მკითხველს აღაზნებდა ხოლმე ბრძოლისა და თავგანწირული მოქმედებისათვის. აკაკი ბუნებით მოუსვენარი და რევოლიუციონური სულის კვეთების, რევოლიუციონური ტემპერამენტის პატრონი იყო. ამ რევოლიუციონერის უკმეხობასა, შეუდრეკლობასა და სიმტკიცეს ნათელყოფს შემდეგი ლექსები:

„მაგრამ დავიმტვრე, არ მოვიღუნვი,
„მსურს, მატყუებდეს მისთვის იმედი!“
ან კიდევ „მოვსტყუვდი, მაინც არ მოვიღუნვი“,
„და ჩავალ სწორი სწორსა საფლავსა!“

ამასვე ცხადათ ადასტურებს აკაკის მცირე ლექსი „მერცხალი“, რომელიც დაწერილია იმის გამო, ნაროდო-ვოლცებმა ალექსანდრე მეორე მოკლეს.

აი. ეს ლექსიც:

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
გაზაფხული, გაზაფხული!
—გულს იმედი დამესახა.

—

მივდექ სარკმელს, გადვიხედე:
არე მარე მესხვაფერა,
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

—

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ გულსა რაღათ ვიტეხ:
—ახლოს არის მომავალი!

—

მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დიჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

ამ ლექსით აშკარათ მტკიცდება, რომ აკაკის მიერ მოწონებული და მისაღები შეიქნა ნაროდო-ვოლცების მოქმედება და საქციელი. აკაკის მერცხალმა, ე. ი. დეპეშმა მოუტანა ახალი ამბავი ალექსანდრე მეორის მოკვლის შესახებ. ამ ამბავმა მას სასოების ფრთა გაუშალა და გული სიამით აუძგერა. ამით მან, დანაღვლიანებულმა და დასევდიანებულმა, უიმედობით შეპყრობილმა უცნაური იგრძნო ძალი, ე. ი. მას კვლავ იმედი მიეცა და დაიჯერა, რომ ახლოს არის იმის სანუკვარი მომავალი. ეს სანატრელი მომავალი კი, ხომ ვიცით, გულისხმობს იმის ერის სწორ-უფლებიანობასა და ამ ერის ცხოვრების ნორმალურ პირობებში ჩაყენებას, ისეთ პირობებში, როცა თვით ერი თვისი მოქმედებითა და შემოქმედებით, ნიჭითა და სულიერი მადლით შეუდგება თავისი ცხოვრების კეთილ-მოწყობას. ამ ამბავმა დააჯერა, რომ იგი მომავალი არც ისე შორს ყოფილა, როგორც ის აქამდის ფიქრობდა. იგი ამ მომავლის განაღდებას თვით მოესწრება და იგი თვისი თვალებით იხილავს ქორწილს ბუნებისას და თვისი ყურებით ისმენს სამხიარულო მაყრულს, ე. ი. თვით ერი მხიარული იქნება, როგორც საქორწინოთ წამდგარი ნეფე-დედოფალი, და სამხიარულო ყიჟინა იქნება ირგვლივ, როგორც ქორწილის დროს მხიარულობს იქ შეკრებილი საზოგადოება და მაყრულის სამხიარულო და გამამხნევებელი ხმა გაისმის ამ საზოგადოებაში. აი, ასე გარდაქმნა მგოსანი ამ ამბავმა.

თუ ზერელეთ შევხედავთ ამ გარემოებას, გვეჩვენება, რომ ეს ერთგვარი ულოღიკობაა აკაკის მიერ ჩადენილი. ჩვენ ხომ ვიცით, რომ აკაკი უკიდურესი ეროვნული მგოსანია და იგი ეროვნულ გრძნობათ აღვიძებდა ხოლმე გალხში. ამიტომ გაუგებარია პირველი შეხედულებით, თუ რატომ მოიწონა მან ნაროდო-ვოლცების ეს საქციელი. წმინდა ეროვნული თვალ-საზრისით ვითომ რა სარგებლობას მოუტანდა ეს ისტორიული ფაქტი ქართველობას?! საქმე ის არის, რომ აკაკი სოციალისტი არ იყო, მაგრამ ამავე დროს ისიც ცხადია, რომ აკაკი არ იყო წმინდა წყლის შოვინისტი და ეროვნული თავისუფლების მოპოებისთვის იგი არ იყო ავანტაურების მომხრე და გარეშე ძალთა მაძიებელი. იგი მთელი თვისი არსებით და იმის ქნარის შინაარსიც იქით არის მიმართული, რომ თვით ქართველი ერი ამოქმედდეს, ამუშავდეს, საკუთარი ძალი და ღონე მოიკრიფოს, ყოველ დარგში გამოიჩინოს ნიჭი და შემოქმედების უნარი და მხოლოდ ამ გზით მიენიჭება მას თვისი სანუკვარი მისწრაფების განხორციელება და განაღდება. აკაკი აქებს და ადიდებს შრომას და იმით მორაბერ სიამოვნებას.

„თურმე ტყუილი ყოფილა ყველა
ჭრელა-ჭრულები ამ ქვეყნიერათ
და ადამიანს თუ გსურს იცხოვრო
აქ მოსვენებით და ბედნიერათ,
**უნდა იშრომო და შრომის ოფლით
გაბანო შენი დალალულობა“**

რადგანაც მოსვენებასა და ბედნიერათ ცხოვრებას ეს შრომა ანიჭებს ადამიანს, ამიტომ აკაკი შემდეგ რჩევას აძლევს თავის ერს:

ახლა დაგიდგა სულ სხვა დრო,
**ამაღლებული შრომითო,
და სიხხლი ოფლათ შეხცვალე,
ვერრას გახდები ომითო!**

რა კი შრომითა და მადლიანი ღვაწლით ამაღლდება იმის ერი აკაკი დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში ეს ერი.

„არც ისურვებს ბატონობას
და არც ვისმეს მონობასა.

ასეთ პირობებში კი იგი მოელის, რომ იმის იმის იდეალი განხორციელდება და ისეთი დრო დადგება

სადაც **ყველა თანასწორია,
ერთს მეორის არ აქვთ შიში!**

სწორეთ ამიტომ იგი ასეთ ქებათა-ქებას მიუძღვნის ამ თანასწორობას, მადლიანი შრომით აღმოცენებულს და ასეთ შრომაზე დაბჯენილს:

„ისვე თაფლია ცხოვრებისათვის
ძმობა, **ერთობა** და სიყვარული!
არ ღირს, დალიოს იმის ძებნაში
ადამიანმა სული და გული.

—“—

დაე სუყველამ იბედნიეროს
თვის სამშობლოში, თავის მხარეში,
**რომ მოძმე იყონ ერთი მეორის
და არა მონა, ყმა და ფარეში“!**

ამ მოსაზრებათა გამო აკაკი სრულებით არავითარ იმედს არ ამყარებდა გარეშე ძალებზე. ამიტომ იგი სრულებით არავითარ მონაწილეობას იღებს იმ შეთქმულებაში, რომელიც წარმოებდა რუსეთ-სათათრეთის ომის დროს 1877—1878 წ. წ. გიორგი წერეთლისა და გ. ყაზბეგის მეთაურობით. აკაკი და იმის ქნარი მხოლოდ საქართველოს ნიადაგზე და ქართველი ერის წიაღში დაეძებდა და უყიოდა გმირებს, რომელნიც უკვდავების წყაროს წყალს მოაკვდავის გამოსაფხიზებლად გამოსტაცებდენ დევებს და ნესტანს კი ქაჯთა ხელთაგან დაიხსნიდენ. იგი მოითხოვს მადლიან შრომასა და თანასწორობას, სწორ უფლებიანობასა და ცხოვრების ისეთ პირობათ, რომ ერის შემოქმედების უნარს გზა ფართო და თავისუფალი მიეცეს ამ პირობაში კი იგი დარწმუნებული იყო, იცნობდა რა თვისი ერის ნიჭსა და სულიერ მადლს, ქართველი ერი ცხოვრებასაც გაიუმჯობესებდა და შვებასაც მოიპოვებდა.

აი, რაკი ამ ნიადაგზე იდგა აკაკი, მაშინ სრულებით ადვილად გასაგებია იმის შვება და იმედი, რომ, თუ რუსეთის ჯალათი იმპერატორების სახით ტახტიდან ჩამოვარდებოდა, რუსეთი იშვებდა და მოიპოვებდა მოქალაქის უფლებას. ამ პირობაში აკაკის იმედი ქონდა, რომ ეს გარემოება საქართველოსაც შვებასა და უფლებას მიანიჭებდა აკაკი, რასაკვირველია, მხოლოდ მოქალაქის უფლების მოპოვებით ვერ დაიცხრობდა თვის აღგზნებულს ეროვნულ გრძნობას, როგორც ეს ზევით მოთხრობილიდან სჩანს. ამიტომ უნდა დანამდვილებით ვიფიქროთ და დავიჯეროთ, რომ აკაკის ღრმათ და უცვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები.

— **საქართველოს ექიმთა ყრილობა.** აპრილის 15 ს ტფილისში მოწვეული იქნება სრულიად საქართველოს ექიმთა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობა გაარჩევს შემდეგ საკითხებს: 1) ექიმთა უწყება და მოვალეობა, 2) ექიმთა ეთიკა, 3) ყველა უწყების ექიმთა გაერთიანება, 4) შესწავლა საექიმო შრომის მავნებლობისა, 5) ექიმთა ავადმყოფობის და სიკვდილიანობის სტატისტიკა, 6) ხელფასი და უმუშევრობის საკითხი.

— **განათლების კომისარიატში.** განათლების კომისარიატმა დაუგზავნა ყველა ტეხნიკუმებს ცირკულიარი, რომლითაც წინადადება ეძლევათ რომ წელს უკანასკნელად ჰქონდეთ დანიშნული მოწაფეებს განმეორებითი გამოცდა, მომავალში კი, თუ მოწაფე გულმოდგინეთ არ იმეცადინებს მთელი წლის განმავლობაში და წლის ბოლოს არ გამოიჩენს საკმაო ცოდნა-წარმატებას—დატოვებული იქნება იმავე კლასში. ამ გაზაფხულზე კი შეიძლება განმეორებითი გამოცდების დანიშვნა, მხოლოდ ორ ან, იშვიათ შემთხვევაში, რაიმე საპატიო მიზეზების გამო—სამ საგანში. დანარჩენ შემთხვევაში კი პედაგოგიურ საბჭოს მიერ აღძრული უნდა იყოს დასაბუთებული შუამდგომლობა სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე.

— **სარეპერტუარო კომისიის განცხადება.** განათლების კომისარიატის სარეპერტუარო კომისია აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ მის და ნებადაურთველად სასტიკად აკრძალულია ყოველგვარი თეატრალური დადგმა პიესების, ოპერის, ოპერეტის, კინო-ლენტების, კონცერტების და სხვ. ტფილისში საამისო ნებართვისთვის უნდა მიმართონ ხსენებულ კომისიას, ხოლო ქალაქებში: ქუთაისში, ბათომში, სოხუმში, და სხვაგან ასეთ ნებართვას გასცემს ლიტერატურის და გამომცემლობის მთავარი მმართველობა, რომელნიც კი არსებობენ ადგილობრივ განყოფილებებთან.

— **კლუბის გადაცემა წითელ არმიელთათვის.** ქ. ალმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა: გადაეცეს ერთი წლის ვადით წითელ არმიელებს სამხედრო ცოდნათა კლუბისთვის ყოფილი „მულენ-ელექტრიკი".

— **მაჰმადიანთა სკოლა.** ქ. ალმ. პრეზიდიუმის დადგენილებით, მაჰმადიანთა სკოლის ასაგებ შენობის სასარგებლოდ რუსთველის თეატრში მარტის 23-ს გამართული საღამო განთავისუფლებულია 5 პროც. გადასახადისგან.

— **სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიის გაუქმება.** ალმ. პრეზიდიუმმა დაამტკიცა სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიის მოხსენება 1922 წლის სამოქალაქო გადასახადის მუშაობის შესახებ და დაადგინა: გაუქმებულ იქნას აღნიშნული კომისია, ხოლო მისი ფუნქციები გადაეცეს კომზაგვსის წევრს ამხ. გიგო კიკნაძეს მთელი საქმეებით.

— **მსახიობ ვ. აბაშიძის კომუნალურ ხარჯებისაგან განთავისუფლება.** ქალ. ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე განთავისუფლებულ იქნას ბინის ქირის, წყლის და ელექტრონის გადასახადისგან სრულიად.

**სახელმწიფო გამომცემლობა.** სახელმწიფო გამომცემლობაში ამ ჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ქართულ კაზმულ მწერლობის და სახელმძღვანელოების გამოსაცემად. დამზადებულია კლასიკების ნაწერები და მალე გამოიცემა ცალკე ტომებათ. პირველ რიგში გამოვა აკაკის ნაწერები და ყაზბეგი. იბეჭდება შალვა დადიანის პიესათა კრებული, ვასილ ბარნოვის მოთხრობა „ამქრის შვენება". და რამდენიმე ბროშიურა. სახელმძღვანელოებიდან დაიბეჭდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში შემდეგი წიგნები: 1) „ნოვაია შკოლა" (რუსულ ენაზე) შრომის სკოლის მე-4 განყოფილების კურსი. 2) დევიძე და ხარაბაძე—ტრიგონომეტრია, 3) იაშვილის—საზოგადო გეოგრაფია, 4) ორგანიული ბუნება. 5) გ. ჭიჭინაძის ორთქლის ქვაბები და 6) ასირიული სახელმძღვანელო. იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა: 1) თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია (ნაწ. 2 და 3), 2) ჩვენი სკოლა (ნაწ. 1 და 2), 3) არითმეტიკის სახელმძღვანელო თარგმანი ხარაბაძისა, 4) ცდები ბუნების მეტყველებაში, 5) ა. ბოგდანოვის წიგნი 6) მეჩნიკოვის წიგნი „ადამიანის ბუნება".

— **სახელმწიფო მომარაგებაზე გადაყვანა.** ქალ. ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სადაც ჯერ არს, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საშუალებით, ჯანმრთელობის განყოფილების მთელი პერსონალის სახელმწიფო მომარაგებაზე გადაყვანის შესახებ.

### სახალხო გამოკვების კავშირში.

— **საბავშო სახლები.** საბავშო სახლებთან არსებობს უფასო სასადილოები. აქვე სახალხო გამოკვების კავშირმა გადასწყვიტა ბავშვთა ილმზრდელობითი მიზნით გახსნას სამოსწავლო განყოფილებები.

— **შრომის ნაყოფიერებისათვის.** კავშირმა შრომის ნაყოფიერების გამოსარკვევად დანიშნა განსაკუთრებული (ექსპერტთა) კომისია. ამ კომისიას ევალება მუდმივი თვალყური იქონიოს შრომის ნაყოფიერების და შრომის პირობების დარღვევის სფეროში.

— **მუშათა სახლები.** სახალხო გამოკვების კავშირის პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა საქართ. პროფსაბჭოს წინაშე რომ კავშირის განკარგულებაში გადაცემული იყოს ერთი მუშათა სახლი, რადგან დღემდის გამომკვებ კავშირს არა აქვს ასეთი სახლები და წევრები კი ბინის კრიზისს განიცდიან.

— **უმუშევართა ფონდი.** კავშირთან არსებობს უმუშევართა ფონდი. აქედან მუდმივი დახმარება ეძლევათ უმუშევარ წევრთ. უმუშევარ ფონდთან არსებული კასის ბიურო გაუქმებულ იქნა, როგორც ზედმეტი ორგანო

### მელითონეთა კავშირში.

— **მელითონეთა კლუბი.** კულტუჯრედების და ადგილკომების გაერთიანებულ სხდომაზე დადგენილ იქმნა არსენალის და მელითონეთა განყოფილების კლუბები შეერთებულ იქნას ერთ კლუბად. კლუბის გამგებლობას გასწევს ახლად არჩეული გამგეობა 3 კაცისაგან შემდგარი. კლუბის ფონდის გასაძლიერებლად მოწყობილ იქნება კინო-სეანსები და ფასიანი საღამოები.

— **ავტო-სახელოსნოები.** კავშირის გამგებლობაში არის რამდენიმე ავტო-სახელოსნო. ცალკე კავკასიის არმიასთან არსებული ავტო სახელოსნოს საქმეებს განაგებს პოლიტიკური წრე. ეს წრე მზრუნველობას უწევს პირველ საფეხურის სკოლას. მოსწავლეთა უმრავლესობა წითელ არმიელები არის. კულტმუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ თვით ჯარის კაცებიც. სახელოსნოსთან არსებობს კლუბი.

— **პროფტეხნიკური კურსები.** კავშირმა წინადადება მისცა კულტგანყოფილებას მიიღოს ზომები ახლო მომავლისათვის მელითონეთათვის დაარსებულ იქნას პროფტეხნიკური კურსები და ამის საჭიროებისათვის გადადებულ იქნას შესაფერისი თანხა.

### ქიმიკოსთა კავშირში.

**ბორჯომის მუშის ქარხანა.** ბორჯომის [illegible] ქარხნაში ამ ჟამად მუშაობს 200-ზე მეტი მუშა. მუშების კრების დადგენილებით ქარხანას ეწოდა „ამხ. კალინინის სახელობის ქარხანა" ქარხანასთან განზრახულია კალინინის ძეგლის დადგმა, სამეურნეო ნაწილი აქ მშვენივრად განაგებს თავის საქმეებს. კულტმუშაობაც კარგად ეწყობა. არსებობს კლუბი, თეატრი და სამკითხველო.

— **პროვინციის დათვალიერება.** ქიმიკოსთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის დადგენილებით ქიმიკოსთა კავშირის პროვინციის განყოფილების დასათვალიერებლად გაგზავნის თავის წარმომადგენლებს. ბორჯომში მიემგზავრება ამხ. არაქელოვი. ბათომში—ამხ. ავეტისოვი ნავთის და მადნეულობის წარმოების დასათვალიერებლად.

### ფეიქართა კავშირში.

— **საპნის და ზეთის მრეწველობა.** ფეიქართა კავშირის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საპნის და ზეთის ტრესტს დაუყოვნებლივ შეიძინოს ის საჭირო მასალა, რომელსაც დღეს საპნის და ზეთის მრეწველობა განიცდის ნაკლებობას. ამას გარდა დაუყოვნებლივ უნდა დაურიგდეთ მუშებს სპეცტანისამოსი.

— **დახმარება უმუშევართ.** უმუშევარ წევრთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლა, ყველა ინვალიდებს და უმუშევართ მუშათა მთლიან კოოპერატივის საშუალებით დაურიგდებათ პური უფასოდ. განზრახულია დაარსდეს განსაკუთრებული ფონდი, საიდანაც უმუშევარ წევრებს მიეცემათ მუდმივი დახმარება.

— **კულტმუშაობისთვის.** საპნის და ზეთის ქარხკომის დადგენილებით კულტმუშაობის გასაფართოვებლად და აგრეთვე უმუშევრობის წინაალმდეგ საბრძოლველად ყოველ თვიურ ქარხნის შემოსავლიდან 5 პროც. გადაირიცხება კულტ. და უმუშევართა ფონდის სასარგებლოდ.

— **ურთიერთ დამხმარე კასის დაარსება.** ფეიქრთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით ფეიქართა კავშირთან არსდება ურთიერთ დამხმარე კასა.

# მუშათა ცხოვრება.

## „არსენა", „მეზობლები" და „ავაზაკები".

გასულ კვირას, ავლაბრის მუშათა კლუბში სცენის მოყვარეთა კოლექტივმა დასდგა სამი წარმოდგენა. ჩვენის აზრით კოლექტივის ასეთი სისტემით მუშაობა, პირდაპირ მიზანშეუწონელი და დამაბრკოლებელია ინტენსიური მუშაობისათვის. ეს რომ ასეა, ეს, სხვათა შორის უკანასკნელი სამი სუსტად ჩატარებულ წარმოდგენიდან სჩანს, მიუხედავად იმისა, რომ პიესა „მეზობლებში" მონაწილეობას ღებულობდა მსახიობი ნ. გოცირიძე.

ვინც თეატრალურ ხელოვნებასთან ახლოს სდგას და ცოტად თუ ბევრად რამე გაეგება, მისთვის პირდაპირ წარმოუდგენელია ის ამბავი, რომ სცენის მოყვარეებმა დღე გამოშვებით მოამზადონ ისეთი პიესები, როგორიც არის „მეზობლები" და „ავაზაკები". დიახ, წარმოუდგენელია მით უმეტეს, რომ კოლექტივში თავს იყრიან მუშა ელემენტები და გასაგებია, რომ მათ, პიესის და როლების სათანადოდ მომზადებისათვის თავისუფალი დრო არა აქვთ. დღე გამოშვებით წარმოდგენების მომზადება კი თვით პროფესიონალურ მსახიობებისთვისაც არ გახლავთ იოლი საქმე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წარმოდგენაზე ჩვენ ვხედავთ მთავარ როლებში რეჟისორ ი. რევაზიშვილს. ეს ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ საზოგადოდ პატარა თეატრებში რეჟისორს დიდი როლი უფრო კულისებში აქვს სათამაშო, ვიდრე სცენაზე. ამით ჩვენ, რა თქმა უნდა იმას არ ვამბობთ, თითქოს რეჟისორი სცენაზე არ უნდა გამოდიოდეს, პირიქით, მაგრამ ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ისეთი პიესების დადგმის დროს, რომელშიაც მასსიურ სცენებს ალაგი აქვს (მაგ., „ავაზაკები", „ორი ობოლი" და სხვა) აუცილებლად საჭიროა რეჟისორის კულისებში მუშაობა საერთო წეს-რიგის დაცვის და ხელმძღვანელობისათვის.

ამასთანავე საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს როგორც გრიმიროვკას, აგრეთვე ტანთსაცმელებს და სასცენო სახელთსაწყოს, თორემ დაუშვებელია, როგორც ეს შემჩნეულია, რომ ფრაკში გამოწყობილი ევროპიელი ტიპი, იმერულ მესტებით გამოიყვანოთ სცენაზე.

მაგრამ ყველაფერი ეს ნაკლებად აღსანიშნავია შედარებით იმ ნაკლთან და დეფექტებთან, რომელსაც ამ ბოლო დროს ალაგი აქვს თეატრში.

მე არ მოგახსენებთ უწესოებაზე, არა, ამაზედ უარესიც არის.

ეს გახლავთ ხალხის **გულგრილობა** პროლეტარულ კულტურისადმი. ხშირად თეატრის დარბაზი ნახევრად ცარიელია ხოლმე და ამ სამწუხარო სურათს რომ ვუყურებთ გვინდა ვიკითხოთ:

— სად არიან ჩვენი ამხანაგი მუშები? ნუ თუ მათ ჯერ არ იციან, რომ ავლაბრის მუშათა კლუბი—მხოლოდ მუშებს ეკუთვნის და სხვას არავის?

ასეთი საქციელი არა თუ დანაშაულს უდრის, არამედ შეუგნებლობას.

ამას კი ალაგი არ უნდა ჰქონდეს პროლეტარულ ქვეყანაში.

კარგს იზამენ ავლაბრის კომიაჩეიკები, ქარხნის ადგილკომები და მოწინავე მუშები, რომ საკითხს დასვამდნენ სადაც ჯერ არს და გამოსძებნიდნენ მუშებსა და კლუბს შორის საერთო ენას.

უკანასკნელად სამი სუსტად ჩატარებული წარმოდგენა კი ჩვენ რასაკვირველია გულს არ გვიტეხს, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ეს მიეწერება არა მუშა—არტისტების უუნარობას, არამედ იმ უსისტემო მუშაობას, რომელსაც ადგილი აქვს ავლაბრის მუშათა კლუბთან არსებულ სცენის-მოყვარეთა კოლექტივში.

კვირაში სამი წარმოდგენის გამართვა დღევანდელ პირობებში მიზანშეუწონელია.

**მუშა ისკანდერი**

ლელად სწამდა, რომ რუსეთის განთავისუფლება ბიუროკრატიასა და იმპერატორის კლანჭებიდან ქართველ ერსაც მიანიჭებდა გარდა მოქალაქის უფლებისა ეროვნულ **უფლებასაც**. სწორეთ ამიტომაც იგი ისეთი აღტაცებით მიეგება ამ ამბავს, რომ ალექსანდრე მეორე ნაროდო-ვოლცების მიერ იქნა გაცამტვერებული და მან თვისი ხმა გამამხნევებელი და მომწონებელი მიაწვდინა მათ.

მაგრამ ეს იმედი იმ ხანათ არ გამართლდა. ტახტი არ შეირყა, ბიუროკრატია კი უფრო სასტიკი, მკაცრი და დაუნდობელი შეიქნა. დამყარდა საშინელი რეჟიმი ალექსანდრე მესამისა. რა მოხდა ამ დროს ჩვენში? მოხდა ის, რომ ჩვენმა მოსოციალისტე მოღვაწეებმა სოციალიზმს ზურგი უჩვენეს და შეურიგდენ ბიუროკრატიას, აღიარეს რა იგი გარდაუვალ და უძლეველ რეჟიმათ. ამიტომ მოინდომეს ამ რეჟიმის გამოყენება და მასთან შეგუება დაიწყეს. ასე მოიქცა ილ. ჭავჭავაძე და ნ. ნიკოლაძე. აკაკის მგრძნობიარე ქნარი და დაუცხრომელი, აღგზნებული სული, რევოლიუციონური ტემპერამენტი კი ამას არ შეურიგდა და ბრძოლა გამოუცხადა ალექსანდრე მესამის რეჟიმს. ამას ადასტურებს იმის შესანიშნავი ლექსი—ხანჯალი, იმ ხანებში დაწერილი. აქ აკაკი გაბედულად და თამამად ეუბნება ხანჯალს:

„მიმოციქულე მტრის გულთან,
მიუძღვენ ჩემი სალამი:
ის ვითომ საწერელია,
ჩაერჭვე როგორც კალამი".

ამ ნაირათ, აკაკი თვისი ქნარის საშუალებით არ აცხრობდა ერში სულს მედგარისა, გაბედულისა და დაუდგრომელის მოქმედებისას. იგი უყიოდა გმირებს, რომელნიც ხალხის წიაღიდან უნდა გამოსულიყვნენ, მოუწოდებდა ერს თვით-მოქმედებისა და მადლიანი შრომისაკენ და სჯეროდა, ღრმად სწამდა, რომ ასეთ მოქმედებასა და ამუშავებას უეჭველად მოყვებოდა სანუკვარი და სანატრელი შედეგი. იგი მტკიცეთ გვასწავლიდა:

„მაგრამ ლაღადი და ამბოხება
განურჩევლად ქვეყნად არ რჩება:
მართალი მხოლოდ ფეხსა იკიდებს
და სიზმარივით ტყუილი ქრება".

მადლიერმა და გამოფხიზლებულმა ერმა დღეს მას, დიდებულს ქართველთაგანს, ძეგლი დაუდგა საპატიო და თვალ-საჩინო ადგილზე. ჯერ-ჯერობით ეს მივიჩნიოთ საკმაო ჯილდოთ აკაკის ნამოქმედარისა და ნაღვაწისათვის მისი გარდაცვალების 8 წლ. თავზე.

**ი. ფანცხავა.**

# მოწერილი ამბები

**ბათომი.** ეს უკვე მეორე წელიწადია, რაც ვაჭრობა-მრეწველობის ცენტრი ხელახლად ტფილისში გადავიდა.

ასეთივე ამბავი დაერთო კულტურულ დარგს. ბათომის თეატრები დეფიციტში ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, წინეთ ქართულ დრამის საქმე ყველაზე უკეთ იყო დაყენებული. დღეს ქართული დრამაც დეფიციტის წინაშე სდგას, რადგან საზოგადოება ნაკლებ ესწრება.

ქართულ დრამის მართველობა ყოველნაირად ცდილობს, რომ წარმოდგენები, რაც შეიძლება კარგ დონეზე დააყენოს. იდგმება ახალი პიესები, მსახიობნიც თავის როლებს ასრულებს სინდისიერად, მაგრამ ხალხი მაინც არ ჩანს თეატრში.

ერთად ერთი, რომელიც მონატრული არ არის საზოგადოების ყურადღების, გახლავთ კინო. დიდი ამბით ჩატარდა სურათი „სურამის ციხე", აუარებელი ხალხი ესწრებოდა სეანსებს, მოელიან ახალ სურათებს ქართველების ცხოვრებიდგან, როგორც მაგალითად „მოძღვარი" და სხ.

არც რუსულ დრამას და ოპერას ეწია წრეულს ბედი. წარმოდგენები მიდის პირველ საბჭოთა თეატრში და ხშირად ცალიერ დარბაზში.

საერთოდ ბოლო დროს ბათომის საზოგადოება გაურბის თეატრებს და კინოში ანუ რესტორან-კაფეებში ირჩევს გართობას და დროების ტარებას.

ბათომში სხვათა შორის არსებობს სტუდენტების სამეცნიერო წრე, რომელიც ხშირად მართავს კვირეულებს, სადაც კითხულობენ სამეცნიერო ხასიათის მოხსენებებს. ამ ბოლო დროს ეს წრეც ძილს მიეცა.

ქართველი მწერლები სცემენ სალიტერატურო გაზეთს „ასპიროზს", რომელიც გამოდის კვირაში ერთხელ, ღირსშესანიშნავი ამბები კულტურულ სფეროში აღსანიშნავია: კოწია გამსახურდიას გამოსათხოვარი საღამო, მსახიობ მარო მდივნის იუბილე და ბენევისი და მგოსან გრიშაშვილის საღამო.

**როსტომ—ბეგი.**

# პოეტი ოჰანნეს თუმანიანი

როგორც დეპეშამ გადმოგვცა, მოსკოვში, მარტის 23 სა გარდაცვლილა სომხის ცნობილი პოეტი ოჰანნეს თუმანიანცი.

პოეტი თუმანიანი დაიბადა ლორის მაზრის სოფელ დსეღში 1864 წელს

პოეტის უდროოდ სიკვდილი დიდი დანაკლისია სომხურ პოეზიისთვის. ოჰანესისაგან სომეხი ერი ელოდა ახალ-ახალ ლექსებს. ოჰანესზე უკეთესი პოეტი ამ ხანად არ ყავდა სომხეთს.

პოეტს არ მიული დიდი სწავლა, წერა-კითხვა უსწავლია მას სოფლის დიაკვანთან, შემდეგ ჯალალ ოღლის სკოლაში და ბოლოს მოსულა ტფილისს და შესულა სომხურ სასულიერო სემინარიაში. მაგრამ ეს სასწავლებელიც არ დაუმთავრებია, რადგან სიღარიბის გამო იძულებული გამხდარა გამოსულიყო და სამსახურში შესულიყო დღიურ ლუკმა-პურისათვის. მაგრამ მალე სამსახურისათვისაც თავი დაუნებებია და ხელი მიუყვია პოეტურ შემოქმედებისათვის.

მართლაც პოეტმა თუმანიანმა შესძლო თავის მშვენიერ ლექსებით, რომლებიც ეგრე მოსწონდათ სომხებს, სახელის მოხვეჭა. მისი ლექსების კრებულები მრავლად იყიდებოდა.

თუმანიანის დიდი ღირსება მდგომარეობს მასში, რომ მან ლამაზ, მხატვრულ და ცოცხალ ხალხურ ენაზე ააჟღერა მგოსნის ქნარი.

თუმანიანს ბევრი ლექსები აქვს დაწერილი ეპიური და ლირიკული ხასიათის: „სასუნცი დავით", „ახთამარ", „ანუშ" და სხვა.

თუმანიანს სთვლიდნენ ნაციონალისტათ. ეს შეხედულება არაა სწორი. თუმანიანი არ იყო ვიწრო ნაციონალისტი, უყვარდა თავისი ერი იმდენად, რამდენად ჰხედავდა მასში პატივისცემას და სიმპატიას სხვა ერებისადმი, როგორც ვნახეთ მიემხრო კიდეც პოლიტიკურათ საბჭოთა, ხალხურ ხელისუფლებას. თუმანიანი ასეთმა შეხედულებამ დააშორა დაშნაკელებს, რომლებიც თავიანთ კაცად სთვლიდნენ და გადაამტერა კიდეც. ეს გამოჩნდა, როცა თუმანიანი გაემგზავრა სტამბოლს სომეხ ლტოლვილთა საკითხის გამო. და საბჭოთა სომხეთის ახალ მთავრობის გასაცნობათ საზღვარ გარეთ მყოფ სომხებმა. პროვოკაცია გაუკეთეს პოეტს, და უკანასკნელი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. პოეტი დაბრუნების შემდეგ ავად გახდა, ვერ შესძლო თვით ერევანში წასულიყო და მოხსენება გაეკეთებია მთავრობისთვის. რამდენიმე თვე იწვა ტფილისში, მერე გაემგზავრა მოსკოვს, სადაც გარდაიცვალა კიბოსაგან.

**ნ. ჩ.**

# პარტიული ცხოვრება

9 მარტს საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის ქ. ზუგდიდის ორგანიზაციას ეწვია პარტიის მთავარ კომიტეტის წევრი ამხ. სერ. ამალლობელი. რადგან სამაზრო კომიტეტს წინასწარ არ ჰქონია ცნობა ამხ. ამალლობელის ჩამოსვლის შესახებ, და ვინაიდან ჩამოსული ამხანაგის განკარგულებაში იყო სულ მცირე დროს, შეუძლებელი გახდა სოფლის ამხანაგებისათვის დაძახება.

ქ. ზუგდიდის ორგანიზაციის წევრთა კრება დანიშნული იქნა 19 მარტს, საღამოს 6 საათზე.

მოხსენებით გამოდის ამხ. ამალლობელი, მისი მოხსენება არის მდიდარი შინაარსით და ეფექტიანი გარეგნულად. მრავალრიცხოვანი კრება სულგანაბული უსმენს მას მთელი 3 საათ ნახევარის განმალობაში. მოხსენების გათავების შემდეგ შემოვიდა მრავალი შეკითხვები, რომლებზეც მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხები. დასასრულ შემოვიდა შემდეგი რეზოლიუცია: კრებამ მოისმინა მთავარ კომიტეტის წევრი ამხ. სერგო ამალლობე-

ლის მოხსენება მომენტსა და ჩვენი პოლიტის შესახებ დაადგინა ქ. ზუგდიდის ორგანიზაცია მტკიცედ სდგას სოციალ-ფედერალიზმის ნიადაგზე, იცავს პარტიის 1 ყრილობის პოლიტიკურ პლატფორმას და მთავარ კომიტეტის გაფართოვებული სხდომის რეზოლიუციებს. კრება მხურვალე სალამს უძღვნის მთავარ კომიტეტს და საქართველოს ცენტრალური აღმასკომის და ტფილისის მუშათა და გლეხთა საბჭოს. მემარც. სოც ფედერალისტთა ფრაქციებს. რეზოლიუციას კრება ხვდება მხურვალე ტაშისცემით და იღებს მას ერთხმად.

მოხსენების დასრულების შემდეგ ამხ. ს. ამალლობელმა ეთათბირა კრებას სხვა და სხვა პრაქტიკულ საკითხებზე. ამხანაგები კმაყოფილი დაიშალნენ ღამის 12 საათზე.

11 მარტს დღით კვირას, 12 საათისათვის ადგილობრივ საკრებულო დარბაზში, სადაც გაკრულ აფიშების თანახმად ამხ. ს. ამალლობელს უნდა წაეკითხა საჯარო მოხსენება, თავი მოიყარა დიდძალმა საზოგადოებამ. მოხსნება დაიწყო დღის 1 საათზე. პრეზიდიუმში არიან ამხ. მიხა კაკულია, სერ. ელიავა და შ. შენგელაია. მოხსენების თემა იყო შემდეგი:

**„ჩვენი პოლიტიკა“.** თეზისები: 1) გარდამავალი პერიოდი. 2) კაპიტალიზმის თვითმკვლელობა თუ რევოლიუცია, 3) ჩვენ და საქართველოს პოლიტიკური პარტიები, 4) საქართველოს პრობლემა, 5) ქართველი ხალხის იდეოლოგია და 6) ჩვენი პოლიტიკა სოც.-ფედერალიზმის სამსჯავროს წინაშე. მოხსენება იყო ფრიად შინაარსიანი და საინტერესო, რამაც გასტანა 2 საათ ნახევარი. მსმენელთა შორის თავიდან ბოლომდე სუფევდა სამარისებური სიჩუმე და ყურადღება მომხსენებლისადმი. მოხსენების შემდეგ შემოვიდა რამოდენიმე შეკითხვა, მომხსენებელმა ყველაზე გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი, კმაყოფილი საზოგადობა დაიშალა ნაშუადღევის 4 საათზე.

ამავე დღეს საღამოს 7 საათიდან ამხ. სერგო ამალლობელმა იქონია ცალკე თათბირი სამაზრო კომიტეტთან სხვა და სხვა პრაქტიკულ და ორგანიზაციული კითხვების შესახებ.

**შან-შენ.**

**ახალი შრომანი.** ზაქ. ჭიჭინაძემ დაამთავრა შემდეგი შრომანი. „მასალები ბატონყმობის ისტორიის“, „ხელოსანთა ისტორია“, „ქართველების ემიგრაცია სპარსეთში“, „ქართველ ქალის ისტორია“, „გულო კაიკაციშვილი“, „ქართულ თეატრის ისტორია“ და მრავალი სხვა. სულ დაუბეჭდავი ხელნაწერი ჭიჭინაძეს აქვს 175.

ამ ჟამად ზაქარია ჭიჭინაძე ხშირ ხშირად ავადმყოფობს და დიდ გაჭირვებას განიცდის. მას არსაიდან სახსარი არ აქვს, გარდა განათლების კომისარიატის პენსიისა. ამავე მდგომარეობაში არიან ჩვენი სასიქადულო მსახიობი ვასო აბაშიძე და მხცოვანი რომანისტი ვასილ ბარნოვი.

**ვაგნერის საღამოები.** დამსახურებულმა პროფესორმა **რიადნოვმა**, ცნობილი დიდი კომპოზიტორის რიხარდ ვაგნერის გარდაცვალების 40 წლის თავის აღსანიშნავად გამართა საღამო-ვაგნერის ნაწარმოებთა. რამოდენი მრავალგვარი, ჯერ კიდევ გამოუცნობი, ღრმა სულის კუნჭულებია გაშლილი—ვაგნერის გენიალ მუზის შემონაქმედში. პირველი კონსერვატორიის ინსპექტორმა ბ. ჩემოდანოვმა, თავის შესავალ სიტყვაში საგანგებო ილიუსტრაციებით გადაშალა ვაგნერის მუსიკალური სახე. აუდიტორია სულ-განაბული უსმენდა მას, მაგრამ როდესაც ბ. ჩემოდანოვი, ალბათ იმ აზრით, რომ თავის თანამედროვეებს არ ჩამორჩენოდა ყოველგვარი საკითხის პოლიტიკური მიდგომით გარჩევაში, შეუდგა მუსიკის მარქსისტული თვალსაზრისით განვითარებას და ერთი ჩინური ანდაზა კი დაავიწყდა: „ვინემ შეხვიდოდე—მოიფიქრე, როგორ შეხვიდე“.

მოხსენების ფინალი, სავსე იყო იაფ-ფასიან ფრაზეაით.

კონცერტის პროგრამაში შეტანილი იყო ნაწყვეტები რამოდენიმე სხვა და სხვა ნაწყვეტებივაგნერიდან. ყველა შესრულებული იქნა რიადნოვის ვოკალური სტუდიის მოწაფეთა ძალების მიერ. დასაეჭვებელი იყო უსათუოდ მოწაფეთა ნორჩი ძალებით მისი კარგი ჩატარება, ყოველგვარი ასეთი მოლოდინის გარეშე, სასიხარულოთ ბ. რიადნოვის სტუდიამ, მისი მხცოვანი ხელმძღვანელითურთ, სრულის სერიოზობითა და საქმის სიყვარულით შეასრულა დანაპირევი. რასაკვირველია მოწაფეებს ვერ მოვთხოვთ შესრულების სა'ურველ მთლიანობას ერთ-ერთი მონაწილეთაგანი იმღეროდა უკეთ, მეორენი ცუდათ და მაინც საერთო შესრულების ფონი სასიამოვნო და, ასე წარმოიდგინეთ, მხატვრულ შთაბეჭდილებასაც-კი სტოვებდა, როგორც მაგალითად პოლიგრიმოვის ხორო, ტაიგეიზერის ოპერიდან შესრულებული წმინდა [illegible] შემსრულებელთაგან აღსანიშნავია [illegible] რუდენკო, რომელიც გამოვიდა [illegible] ში „ბალლადიდან მოხეტიალე მეზღვაურზედ“—ხოროსთან ერთად. ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მოწაფე-ქალის სოგომონოვას და მიხეილ ალლაძის გამოსვლამ (დუეტი ოპერიდან „მოხეტიალე მეზღვაური“). ალლაძეს აქვს შესანიშნავი ხმა basso-cantante. ფართოდ მუსიკალურია, კარგი დიქციისა და ფრაზირობის პატრონია. ეს უკვე დამთავრებული მომღერალია. ლეონიდე ალლაძე კიდევ მომღერალია in spe, თუმცა მუსიკალობა არც მას აკლია. ხმა საჭიროებს შემდეგ დამუშავებას,

ძალიან კარგი ხმის ნიშნები აქვს მოწაფე ყუმსიაშვილს და თუ სერიოზულათ შეუდგება თავის ხმის დამუშავებას ეს მოწავე არ დაიჭერს უკანასკნელ ადგილს არც ერთ საოპერო დასში. მან შეასრულა ლოენგრინის მოთხრობა, რომელიც მოითხოვს ხმის მეტს ტეხნიკურ დამუშავებას, მეტს დინამიკასა და ლირიულ ტონებს; თავი უნდა ანებოს ამასთანავე ხმის ფარსიორობას. აგეთივე ემჩნეოდა ლოენგრინისა და ელზას დუეტის შესრულებაში.

მოწაფე კაგაროვისა და ყუმსიაშვილს ამ შესრულების მოწაფეთა გამოსვლის თვალსაზრისით რომ მიუდგე, უეჭველათ კარგი იყვნენ. ორთავე შემსრულებელი დიდს იმედებს იძლევა. ორტრუდასა და ფრიდრიხ ტელრამუნდის დუეტი (ლოენგრინის ოპერიდან) შესრულებული იქნა დამთავრებულის სახით (მოწავე ქალი მაჭავარიანი და ბოარსკი) ორთავე მოწა ვეებს ლამაზი და საკმაოდ ფართო მუსიკალური ხმა აქვთ. ძლიერ კარგათ იმღერა ვოლფრომის მონოლოგი და რომანსი „ო შენ ბინდს ვარსკვლავო“, ტაიგეიზერის ოპერიდან—მსახიობმა ინაშვილმა. (ყოფ. მოწაფე პროფესორ რიადნოვისა). დუეტით გამოვიდნენ მოწავე პრივალოვი და ვენაძე ცუდათ შესრულებულ იქნა ტრიო ოპერიდან „ტრისტან და იზოლდა“. მოწავე ქალს ლუნინას ხმაში მერყეობა და ზოგჯერ tremolo ეტყობოდა. წინ მიიწევს ბ. ისაკოვი. Ensamble მუსიკალური დრამა „ვულკირიიდან მოითხოვს აჩქარებულ tempo-ს, კარგი იყო აკომპანიმენტი ქ-ნ ბარათაშვილისა და გრიქუროვასი.

**პ. ბებუთოვი.**

## სამხედრო რევტრიბუნალში

**1. დებულების დამტკიცება.** საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა დებულებანი ქართულ დივიზიის რევტრიბუნალის შესახებ. ამ დებულების ძალით რევტრიბუნალს ექვემდებარება საქმენი, როგორც ქართული მსროლელ დივიზიისა, ისე ქართულ არმიის ყველა სამხედრო სოსამსახურისა,—თუნდაც ეს უკანასკნელი არ ეკუთვნოდეს ქართული მსროლელი დივიზის შედგენილობას. სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალის განაჩენი, რომლითაც გათვალისწინებული არ იქნება თავისუფლების აღკვეთა ან სასჯელის უმაღლესი ზომა საბოლოა; მისი განსაჩივრება საკასაციო წესით არ შეიძლება.

მხოლოდ თუ ტრიბუნალის განაჩენი, რომლითაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ან სასჯელის უმაღლესი ზომა, შეიძლება საკასაციო წესით განსაჩივრებულ იქნეს უზენაეს რევოლიუციონურ ტრიბუნალში: ტრიბუნალს ყავს თავისი პროკურორის თანაშემწე, რომელიც ექვემდებარება საქართ. სოც. საბ. რესპ. რევოლ. ტრიბუნალების პროკურორს. ყავს აგრეთვე შტატი სამხედრო გამომძიებლებისა;

თვით ტრიბუნალის კოლეგია შედგება თავჯდომარისაგან, მის თანაშემწისაგან და ორი წევრისაგან.

**2. რევტრიბუნალის მუშაობა.** რევტრიბუნალში შემოვიდა სულ 270 საქმე. აქედან დეზერტირობის 40 პროცენტი, ბოროტ-მოქმედება სამნეო ნაწილში—30 პროც. და სხ. დებულებების დამტკიცების დღიდან გარჩეულ იქმნა 4 საქმე...

პირველი № ნაწილის ყოფილ პოლიტხელმძღვანელ არჩაიას საქმე. რომელსაც ბრალდებოდა რამოდენიმე ფუთი სახაზინო შაქრის მოპარვა და შევბულებაში დაგვიანება, რევტრიბუნალმა მიუსაჯა 2 წლ. სატუსაღო. მეორე საქმე იყო პირველ ლეგიონის ასეულის უფროსის რეზო ჩიქოვანის, რომელიც დანიშნულ იყო სასახლის მცველთა უფროსათ მაგრამ მან მიატოვა პოსტი და გაეშურა საღამოს ღლეობაზე საქეიფოდ, დაკითხვის დროს გულუბრყვილოდ უპასუხებდა მოსამართლეებს: „რა ვქნა, შეცდომა ჩავიდინე. მე მეგონა ღლეობაზე ნახევარ საათს გავჩერდებოდი, მაგრამ იქ იმნაირი მხიარული კამპანია დამიხვდა, რომ დამეზარა, უკან წამოსვლა.

ჩიქოვანს მიუსაჯეს წელიწად ნახევრის სატუსაღოში ჯდომა. სასამართლომ გაარჩია აგრეთვე წითელ-არმიელთ საიქოძის და დეზინფექტორი ლუჟინავას საქმენი.

ამ მოკლე ხანში რევტრიბუნალი მიემგზავრება პროვინციაში საქმეების გასარჩევად.

სასამართლოსთან ექვსი სამხედრო გამომძიებელია დანიშნული.

## ბიბლიოგრაფია.

პეტრე სამსონიძე „ცეცხლის ხმები“ დინამოლექსები.

დასამარდა ძველი, დახავსებული ქვეყანა. მის ნანგრევებზე პროლეტარიატი შეუდგა ახალი ქვეყნის აშენებას.

რევოლიუცია მოხდა ხელოვნებაშიც. საქართველოში პროლეტარულ ხელოვნებას დიდი ისტორია არა აქვს. იგი ახლად იფურჩქნება; ახლად იდგამს ფეხს.

1921 წლიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსულს ვხედავთ აურაბელ პოეტებს, რომელთაც მიზნათ აქვთ დასახული პროლეტარულ ჰანგებზე მღერა.

დღეს თუმცა ლექსს ყველა სწერს, მაგრამ ნამდვილი პოეტი სანთლით უნდა სძებნოთ.

საქართველოში და საერთოდ ყველგან პროლეტარულ პოეზიას აკლია ადამიანის სულის ყველა სიმების ახმაურება და თუ ეს ნაკლი დროზე გამოსწორებული არ იქნა, მაშინ პროლეტარული პოეზია და ხელოვნება ბარაბანის რახუნათ დარჩება ð იგი წარსდგება კატასტროფის წინაშე?

პეტრე სამსონიძე პროლეტარული პოეტია. მისი წიგნი „ცეცხლის ხმები“ ამ დღეებში შეეძინა ჩვენს ლიტერატურას. სჩანს სამსონიძეს ჰქონია გაგება, თუ რა არის პოეზია და განსაკუთრებით პროლეტარული პოეზია, რაიც აუცილებელია იმ პოეტისათვის, რომელიც ფიქრობს პროლეტარულ ხელოვნების სამსახურის გაწევას.

სამსონიძე ამათ შორის პირველ ადგილს იჭერს.

პროლეტარულ პოეტებს ცოდვათ მიაჩნიათ ლექსში „სამშობლოს“ ხმარება და არ ვიცი რა არის მიზეზი.

დღეს საქართველო ხომ მებრძოლ რაინდს წარმოადგენს; დღეს ქართველი მშრომელი ხალხიც ხომ იბრძვის თავისუფლებებისათვის; და მებრძოლი საქართველო თავისი მტკიცე მშრომელი ხალხით მღერის მის მომღერალს. შეიძლება ვსთქვათ ეს არის სამსონიძე, რომელმაც ლექსში იხმარა სიტყვა „სამშობლო“ და, რომელსაც კარგად ესმის მისი მებრძოლი სამშობლო—საქართველოს სულის ძახილი.

ის სწერს:

„დღეს სულ თქმა მისი-ცეცხლია ქუჩის..
ბარიკადებთან სდგას თვით მგოსანი
უღიმის სახე რკინის და თუჯის
და მიჰქრის მზისკენ ჰაეროპლანით“...

აქ არის სწორი გაგება თანამედროვე საქართველოსი.

ერთ ლექსში ის სწერს:

„ფასკუნჯის ფრთებით აისისფერ სიყმაწვილეში
**სამშობლო ჩემო** გახალისებს შორს გაქანება“.

ამ სტრიქონებში სიტყვები „სამშობლო ჩემო“ ყველაზე უფრო ბრწყინავს და ჩვენ გვიხარია, რომ იგი ეკუთვნის პროლეტარულ პოეტს სამსონიძეს. ამიერიდან სამსონიძე საყვარელი პოეტია ყველა იმისთვის, ვისაც უყვარს საქართველო, მშრომელი ხალხი და ვინც იბრძვის მისი ინტერესებისათვის.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მის ლექსებს ნაკლი არ ქონდეს.

მთელ წიგნში ვერ შეხვდებით ისეთ ლექს, რომელშიდაც „ცეცხლი“ არ იყოს ნახმარი და ეს მოსაწყენია მკითხველისათვის.

ერთი რამ კიდევ:

ის სწერს:

„შენი ლამაზი ტუჩები
მხოლოთ ვარდ ყვავილებს
რომ კოცნიდენ მარად
მუდამ იყვენ მუნჯები
და ერთიც არ უთქვამთ:
ღმერთო! სიცოცხლე რათ არ ღირს ფარად“?

სიტყვა „ფარად“ აქ არის ფულის მაგივრად ნახმარი.

ფარა სულ სხვას ნიშნავს.

ამ სიტყვის აქ ხმარებას ჩვენ ქართული ენის უცოდინარობას დავწამებდით, მაგრამ სამსონიძეზე ამას ვერ ვიტყვით. საჭიროა დაკვირვება, რომ ასეთ შეცდომებიდან დააზწიოს თავი პოეტმა.

სამსონიძე ახალ პროლეტარულ პოეტებ შორის ყველაზედ უფრო ღირსია ყურადღების და ჩვენც უსურვებთ პოეზიაში არჩეულ გზაზე მხნედ სვლას...

წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს 120,000 მანეთი.

**დ. კობიძე.**

## ხელოვნება

**ფილიპე მახარაძის ნაწარმოებნი.**

ზაქარია ჭიჭინაძე აგროვებს ფილიპე მახარაძის მთელ ნამუშევარს, საგაზეთო წერილებს, კრიტიკულ შენიშვნებს, მოგონებებს, მემუარებს და სხ. აღნიშნული მასალა გადაეცემა სახელმწიფო გამომცემლობას, რომელიც თავის მხრივ გამოსცემს ცალკე წიგნათ.

**პიესა „ელექტრო“ ქართულ ენაზე.** შალვა დადიანმა გადათარგმნა გოფმანის პიესა „ელექტრო“. აღნიშნული პიესა წავა აკადემიურ თეატრში კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**„ომი და ზავი“** ბერლინში ამ სათაურით გამოდის სამხედრო მეცნიერების და ტეხნიკის ჟურნალი, რომელსაც რედაქტორობს გენერალურ შტაბის აკადემიის პროფესორი გენ.-ლეიტ. კელჩევსკი და სადაც თანამშრომლობენ რუს პროფესორების გარდა გერმანიის გენერალურ შტაბის ოფიცრები. ევროპის და განსაკუთრებით საფრანგეთის პრესა ამ ჟურნალს დიდი გულისხმიერებით გამოეხმაურა და უძღვნა მას მთელი რიგი ფელეტონებისა, რაც ახალ გამოცემისათვის სრულიად უჩვეულო მოვლენაა. ინტერესი, ამ ჟურნალმა რომ გამოიწვია პრესა და საზოგადოებაში, ორი გარემოებით აიხსნება. ერთი იმით, რომ ევროპას და ზავს დიდი განსაცდელი მოელის: ახალი ომი აუცილებელია. ამ მოსალოდნელ ომიანობაში უეჭველია გაიმარჯვებს ის მხარე, რომელიც უკეთესად იქნება შეიარაღებული ხალხის მასსიური გამანადგურებელი იარაღებით ეხლა. ეს უკანასკნელი სამხედრო ხელოვნებისა და ტეხნიკის წინმსვლელობისაგანაა დამოკიდებული. როგორ განვითარდა ბოლო წლებში სამხედრო ხელოვნება და ტეხნიკა? ინგლისში ამას წინეთ მოახდინეს დემონსტრაცია ტორპედის ჰაეროპლანების იერიშისა ფლოტზე. საზოგადოება ამ ცდამ ისე ააღელვა, რომ მთავრობამ ძლივს დააშოშმინა ხალხი —ამ იერიშის შედეგი მაინც და მაინც ნუ მოგიკლავთ თქვენი უვნებლობის რწმენასო. დღევანდელ ტეხნიკის ღვიძლი შვილებია შემდეგი გამოგონებანი:

მფრინავი ნავები: ჰაერის ტორპედები, რომელთაც ჰერცის ტალღებით განაგებენ; ხომალდები, რომელნიც ზღვაში ცვალებად კურსით უეკიპაჟოდ მოძრაობენ და რომელთაც რადიო-ტელეგრაფით განაგებენ; ლითონის ჰაეროპლანები, რომელიც დიდი გამანადგურებელ ძლიერების ყუმბარებს ისვრის და შეიარაღებული 30 ტყვიის მფრქვეველით (ყველა ეს მოძრაობაში მოჰყავს ერთს კაცს ერთს წუთში ისვრის 40 ათას ტყვიაზე მეტს); ტანკა—ამფიბიები, რომელნიც მიწაზედაც დაიარებიან და წყალშიაც დასცურავენ,—ყველაფერი ეს სამხედრო ტეხნიკის განვითარების მაჩვენებელია და უეჭველია სადესანტო ოპერაციებსაც აადვილებს. ასეთს პირობებში გასაგები და ბუნებრივია ის ინტერესი, რომელიც სამხედრო ჟურნალმა—„ომმა და ზავმა“ —აღძრა საზოგადოების ფართო წრეებში. მეორე მიზეზი ამ ჟურნალისადმი აღძრულ ინტერესისა არის მისი სერიოზობა და უაღრესი ავტორიტეტობა.

**ელექტროფიკაცია საფრანგეთში.** წრეულს საფრანგეთში რკინის გზათა ელექტროფიკაციისათვის გადადებულია 775 მილიონი ფრანკი. ამ მხრივ თვალსაჩინოა სამხრეთი გზა; აქ ელექტროფიკაცია მოჰხდა 1500 კილომეტრის მანძილზე და ერთ წელიწადში დაიხარჯა 124 მილიონი ფრანკი. უკანასკნელი ადგილი ელექტროფიკაციის მხრივ უჭირავს პარიზ-ლიონ ხმელთაშუა ზღვის რკინის გზას, რომელმაც წელს ამ საქმეზე მარტო 11 მილიონი ფრანკი გადასდო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ ეს განცხადება მოათავსოთ თქვენს გაზეთში: დღემდემდე მე უპარტიო. დღეს სრულიად შეგნებულათ და გულწრფელად ვხდები საქართველოს მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის წევრი.

**აკაკი ივანეს ძე ძნელაძე.**

1923 წ. მარტის 20. ქ. ტფილისი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

განცხადება
ამიერ-კავკ. რკინის გზის
გამგეობა აცხადებს
ყოველ ცალკე ამიერ-კავკ. სახალხო კომისარიატის და დაწესებულებების საყურადღებოდ, რომ
გადაზიდვა ბარგის ნისიათ
შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო
ბანკში შეტანილი იქნება მათ მიერ
მიმდინარე ანგარიშში.
ამისათვის ცალკე პირობები და შეთანხმება არ შესდგება.
308—3—3

ტირაჟი 1 700 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 154. საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.